-07/10-
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კო
30 ივლისი 2007 წ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 87

2007 წლის 24 ივლისი ქ. ბათუმი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის №63 დადგენილებით დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დებულებაში (გაზეთი „აჭარა“ №130 (22.392), 13.07.05., გვ. 11-12) შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. ანსამბლის ლიკვიდაცია

ანსამბლის ლიკვიდაცია ხორციელდება:

ა) დასახული მიზნის მიღწევის ან მიზნის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში;

ბ) დაფუძნების აქტით განსაზღვრული ვადის გასვლის გამო;

გ) მთავრობის მიერ ანსამბლის არსებობის მიზანშეუწონლობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე ალექსანდრე ჯეირანიშვილი

06.03.2013

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 3

2013 წლის 5 მარტი ქ. ბათუმი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის N63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის N63 დადგენილებით დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დებულებაში (გაზეთი „აჭარა“ N130 (22.392), 13.07.05) შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. სამხატვრო საბჭო

1. სამხატვრო საბჭო წარმოადგენს ანსამბლის საკონსულტაციო ორგანოს, რომელი განსაზღვრავს ანსამბლის შემოქმედებითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. სამხატვრო საბჭოს წევრთა რაოდენობას და საქმიანობის წესს ბრძანებით განსაზღვრავს ანსამბლის დირექტორი. სამხატვრო საბჭო უნდა დაკომპლექტდეს არანაკლებ 7 წევრით.

3. სამხატვრო საბჭოს 3 წევრს ირჩევს შემოქმედებითი კოლექტივი. სამხატვრო საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედიან დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორის მიერ მოწვეული პირები.

4. ანსამბლის დირექტორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სამხატვრო საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
შემოსული 595
06 03 2013 წ.

5. სამხატვრო საბჭო განიხილავს:

ა) ანსამბლის შემოქმედებითი განვითარების გეგმას;

ბ) ანსამბლის შემოქმედებითი საქმიანობის მიმდინარეობას და აძლევს შეფასებას მიღწეულ შედეგებს;

გ) კულტურის ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ანსამბლის შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.''.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე

არჩილ ხაბაძე

-203845349-
-07/10-
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
საახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
30 ივლისი 2007 წ.
N 010070000338040001364

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 87

2007 წლის 24 ივლისი ქ. ბათუმი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის №63 დადგენილებით დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დებულებაში (გაზეთი „აჭარა“ №130 (22.392), 13.07.05., გვ. 11-12) შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. ანსამბლის ლიკვიდაცია

ანსამბლის ლიკვიდაცია ხორციელდება:

ა) დასახული მიზნის მიღწევის ან მიზნის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში;

ბ) დაფუძნების აქტით განსაზღვრული ვადის გასვლის გამო;

გ) მთავრობის მიერ ანსამბლის არსებობის მიზანშეუწონლობის თაობაზე მიღებული "გადაწყვეტილების საფუძველზე.".

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე ... შალომიძე

-07/10-
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
ბეჭდვითი ელექტრონული ასტენის
სახელმწიფო რეესტრში და მიმოწერილი
ამს სახელმწიფო სარეგისტრაციო ბარ.
13 ივლისი 2005
N

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 63

2005 წლის 5 ივლისი ქ. ბათუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

ა დ გ ე ნ ს :

1. რეორგანიზებულ იქნეს აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და მის ბაზაზე შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი არის აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის უფლებამონაცვლე.

ასლი
სწორია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის თანდართული დებულება.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სახელმწიფო კონტროლი "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონისა და თანდართული დებულების შესაბამისად განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (კ. შავაძე) უზრუნველყოს:

ა) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2005 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მიზნობრივი დაფინანსება;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისათვის აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ბალანსზე რიცხული უძრავ-მოძრავი ქონების დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე

„დამტკიცებულია"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის
№63 დადგენილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (შემდგომში – ანსამბლი) არის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში.

2. ანსამბლი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „კულტურის შესახებ", „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონების, სხვა სათანადო საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში ანსამბლი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა (შემდგომში – მთავრობა) და სამინისტროს წინაშე. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ანსამბლს გააჩნია სპეციალური უფლებაუნარიანობა. ანსამბლი უფლებამოსილი არ არის განახორციელ-

ელოს ისეთი საქმიანობა, რომლის უფლებაც მას მინიჭებული არა აქვს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით ან/და ამ დებულებით.

4. ანსამბლი კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩლედ და მოპასუხედ, აგრეთვე მესამე პირებთან ურთიერთობაში.

5. ანსამბლს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთა ნუსხა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

6. ანსამბლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. № 55.

მუხლი 2. ანსამბლის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

ანსამბლის მიზნები, ამოცანები და ფუნქციებია:

ქართული ხალხური ფოლკლორის პოპულარიზაცია და განვითარება. მაღალხარისხოვანი ხალხური სიმღერებისა და ცეკვების დადგმა, საკონცერტო საქმიანობის განხორციელება, მათი მეშვეობით ქართული საცეკვაო და მუსიკალური ფოლკლორული ხელოვნების პროპაგანდა და მოსახლეობის ფართო ფენების ესთეტიკური აღზრდა, ეროვნული ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა.

მუხლი 3. ანსამბლის უფლებები და ვალდებულებები

1. ანსამბლს თავისი ამოცანების შესრულებისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს:

ა) მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლებას შემოქმედებითი მიმართულებების განსაზღვრაში (რეპერტუარის არჩევა, [illegible]ებისმიერი სარეკლამო მასალის პუბლიკაცია);

ბ) ისარგებლოს მის მიერ შექმნილი მხატვრული პროდუქციით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და აირჩიოს მის მიერ შექმნილი ცეკვების, სიმღერებისა და კონცერტების საჯარო შესრულებისათვის გამოსაყენებელი ნებისმიერი ფორმა, გასცეს თანხმობა (დამდგმელი ჯგუფის თანხმობის საფუძველზე) საკუთარი პროდუქციის ტელევიზიითა და რადიოთი გადაცემის, ცალკეული საკონცერტო ნომრებისა და კონცერტების ჩანაწერის, ტირაჟირების, რეალიზაციისა და გავრცელებისათვის როგორც საქართველოში, ასევე – საზღვარგარეთ;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს დამხმარე სახის სამეურნეო-კომერციული საქმიანობა, ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი მოახმაროს მხოლოდ ანსამბლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მის მუშაკთა სოციალურ დაცვას, შრომის ეკონომიკურ სტიმულირებას, აგრეთვე ანსამბლის დებულებით გათვალისწინებული სხვა ამოცანებისა და მიზნების შესრულებას;

დ) დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს თავისი ეკონომიკური პროგრამა, განსაზღვროს ბილეთების, სხვა პროდუქციისა და კულტურული მომსახურების რეალიზაციის წესი, დაადგინოს მათი ღირებულება;

ე) შეიმუშაოს და განახორციელოს სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებითი პროექტები საქართველოში და საზღვარგარეთ (მათ შორის ერთობლივი პროექტები);

ვ) სამინისტროსთან შეთანხმებით გახსნას, დააფინანსოს და გააუქმოს ანსამბლის სტრუქტურაში შემავალი ფილიალები ან წარმომადგენლობები;

ზ) განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, აგრეთვე, ამ დებულების შესაბამისად.

თ) განახორციელოს „კულტურის შესახებ" საქართველოს კანონითა და ანსამბლის საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებანი.

ასლი
სწორია

2. ანსამბლი ვალდებულია:

ა) წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „კულტურის შესახებ", „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონებისა და ამ დებულების შესაბამისად;

ბ) წარმართოს შრომითი (მათ შორის სახელშეკრულებო) ურთიერთობანი საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

დ) დაიცვას ანსამბლის მუშაკთა პროფესიული და სოციალური უფლებები.

მუხლი 4. ანსამბლის ხელმძღვანელობა

1. ანსამბლის საერთო საქმიანობას ხელმძღვანელობს ანსამბლის დირექტორი, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში — მინისტრი) წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს მთავრობა, ხოლო თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა მინისტრის წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით.

2. ანსამბლის შემოქმედებით საქმიანობას წარმართავს სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ანსამბლის დირექტორი მინისტრთან შეთანხმებით.

3. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი უშუალოდ მონაწილეობს შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში.

4. ანსამბლის დირექტორის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის, ადგილზე არყოფნის ან უფლებამოსილებ ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ანსამბლის დირექტორის მოვალეობას დროებით ასრულებს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

მუხლი 5. ანსამბლის დირექტორის უფლებამოსილება

1. ანსამბლის დირექტორი:

ა) კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს ანსამბლის საქმიანობას, მოქმედებს ანსამბლის სახელით და სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირთან ურთიერთობაში;

ბ) პერსონალურად პასუხისმგებელია ამ დებულებისა და ანსამბლის საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების, აგრეთვე მათგან გამომდინარე მთავრობისა და მინისტრის დავალებების ზუსტად და დროულად შესრულებაზე;

გ) პერსონალურად პასუხისმგებელია ანსამბლის საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ანსამბლის ქონების, მათ შორის ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე;

დ) თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ (ადმინისტრაციულ) აქტებს – ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ანსამბლის ყველა თანამშრომლისათვის, ხელს აწერს ანსამბლის საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა დოკუმენტებს;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ანსამბლის თანამშრომლებს.

ვ) ანაწილებს ფუნქციებს ანსამბლის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას ანსამბლის თანამშრომლების საქმიანობაზე, ატარებს თათბირებს თანამშრომლებთან, პერიოდულად ისმენს მათი მუშაობის შედეგებს, ანსამბლის სახელით სამოქმედოდ გასცემს მინდობილობას ანსამბლის თანამშრომლებსა და სხვა პირებზე;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია, ანსამბლის თანამშრომლების მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები;

თ) უფლებამოსილია, ანსამბლის სახელით გახსნას და დახუროს ანგარიშები ბანკში, დადოს შრომითი და სხვა ხელშეკრულებები

ბი (შეთანხმებები) ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) სამინისტროს წინასწარი თანხმობით განსაზღვრავს და ადმინისტრაციული აქტით ამტკიცებს ანსამბლის სტრუქტურას, საშტატო ნუსხას, ხელფასის ფონდს, თანამდებობრივ სარგოებს და ხარჯთა ნუსხას, ადგენს და სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს ანსამბლის ბალანსს;

კ) ამტკიცებს ანსამბლის შინაგანაწესს და ანსამბლის თანამრომელთა შვებულებაში გასვლის განრიგს, უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს ანსამბლის თანამშრომელთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას;

ლ) წელიწადში ორჯერ სამინისტროს, ხოლო მთავრობას მოთხოვნისთანავე წარუდგენს ანგარიშს ანსამბლის მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსური სახსრების გამოყენების შესახებ;

მ) სამინისტროს მეშვეობით მთავრობას წარუდგენს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე მთავრობის დადგენილების პროექტს, სამინისტროსა და მთავრობას წარუდგენს წინადადებებს ანსამბლის საქმიანობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ;

ნ) ასრულებს კანონმდებლობით, ამ დებულებით და მათ შესაბამისად მთავრობის ან/და სამინისტროს მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. სამხატვრო საბჭო

1. სამხატვრო საბჭო წარმოადგენს ანსამბლის საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს ანსამბლის შემოქმედებითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. სამხატვრო საბჭოს ირჩევს შემოქმედებითი კოლექტივი. სამხატვრო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ანსამბლის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი, შემოქმედებითი კოლექტივიდან არჩეული და მოწვეული პირები.

3. სამხატვრო საბჭო შედგება 15 წევრისაგან. დირექტორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სამხატვრო საბჭოს წევრისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

4. სამხატვრო საბჭო განიხილავს:

ა) ანსამბლის შემოქმედებითი განვითარების გეგმასა და ანსამბლის შემოქმედებით მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ბ) ანსამბლის შემოქმედებითი საქმიანობის მიმდინარეობას და აძლევს შეფასებას მიღწეულ შემოქმედებით შედეგებს;

გ) განიხილავს სხვა შემოქმედებით დაწესებულებებთან თანამშრომლობის საკითხებს. ერთობლივ შემოქმედებით სამუშაოთა დაგეგმვასა და მათ მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

5. სამხატვრო საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს ანსამბლის დირექტორი.

მუხლი 7. ანსამბლის საქმიანობის კონტროლი

1. ანსამბლის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა სამინისტრო.

2. ანსამბლის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს ანსამბლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

3. მინისტრი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ანსამბლის დირექტორის არამართლზომიერი გადაწყვეტილება. მინისტრს უფლება აქვს ანსამბლის დირექტორს მოთხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალები და ინფორმაცია.

4. ანსამბლის დირექტორი ვალდებულია წელიწადში ორჯერ — 10 მაისამდე და 10 დეკემბრამდე სამინისტროს, ხოლო მთავრობას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს წერილობითი ანგარიში ანსამბლის მიერ განხორციელებული საქმიანობის, მათ შორის ანსამბლის ფინანსური სახსრების თაობაზე.

5. ანსამბლის საქმიანობის შესამოწმებლად, საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებელ აუდიტორს ნიშნავს სამინისტრო.

6. ანსამბლის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, სამინისტროს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას სამეთვალყურეო ორგანო (სამეთვალყურეო საბჭო). ანსამბლის სამეთვალყურეო ორგანოს შექმნის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება მთავრობის მიერ, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 8. ანსამბლის საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. ანსამბლმა სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
ბ) სესხის აღება;
გ) თავდებობა;
დ) საშტატო ნუსხისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;
ე) სხვა გადაწყვეტილებების მიღება ქონებასთან დაკავშირებით თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

2. ანსამბლის მიერ სესხის აღებისა და თავდებობის განხორციელებაზე აუცილებელია, აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანხმობა.

მუხლი 9. ანსამბლის ქონება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ანსამბლს აქვს საჭირო განცალკევებული ქონება, რომელიც მას დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისაგან.

2. ანსამბლის ქონებას შეიძლება შეადგენდეს, აგრეთვე ანსამბლის ფუნქციონირების განმავლობაში ანსამბლის ფინანსური სახსრებით შეძენილი ან/და შექმნილი ქონება. ასეთ ქონებაზე ანსამბლს

აქვს უსასყიდლო სარგებლობის, ხოლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლება.

3. ანსამბლის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება რჩება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში.

4. ანსამბლის ქონებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ანსამბლის ფინანსები

1. ანსამბლის შემოსავლის წყარო შეიძლება იყოს:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი სახსრები

ბ) ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები;

გ) შემოსავლები, რომლებიც მიიღება კონცერტების გადაღებით, მათი კინო, ვიდეო და აუდიო ჩანაწერების სატელევიზიო, რადიო და სხვა სახის ტრანსლაციათა კომერციული მიზნებით გამოყენებით;

დ) შემოსავლები, რომლებიც მიიღება ანსამბლის მიერ სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის გაწეული კულტურული მომსახურების შედეგად;

ე) ადგილობრივი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების კრედიტები და შემოწირულობები;

ვ) დამხმარე სამეურნეო-კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ზ) სახელმწიფო შეკვეთების შესრულებიდან მიღებული შემოსავლები;

თ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 11. ანსამბლის საბუღალტრო ანგარიშგება

1. ანსამბლი ვალდებულია კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოში მოქმედი საერთაშორისო საბუღალტრო ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და [illegible]ცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

საქმის მანდატურა

2. ანსამბლის წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 12. ანსამბლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ანსამბლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მთავრობის დადგენილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სწორია:

ასლი
სწორია: